**საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაზე - პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია : პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება - მისაღები საგამოცდო და გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები**

**ჩარიცხვის წინაპირობები:**

- ბაკალავრის ხარისხი სოციალური მეცნიერებების ნებისმიერდარგში/ქვედარგში, ისტორიაში, ეკონომიკაში, ფილოსოფიასა და სამართალმცოდნეობაში;

- ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდაში გამსვლელი ქულის მიღება (უცხოელ მოქალაქეთათვის: საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად);

- ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება სერტიფიკატით ან თსუ-ს მიერ ჩატარებული წერითი გამოცდით) – 30%

- წერითი გამოცდა (ესე) – 40% (წერითი გამოცდა ბარდება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. ნაშრომის ენა არ ახდენს გავლენას შეფასებაზე)

- მიმღებ კომისიასთან გასაუბრება - 30%

**წერითი ნაშრომის (ესეს) შეფასების კრიტერიუმები:**

წერითი ნაშრომი ფასდება 100 ქულით. წერითი ნაშრომის შეფასება წარმოადგენს მთლიანი შეფასების 40 პროცენტს.

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

- ✓ 91-100 ქულა - საგამოცდო საკითხი წარმოდგენილი ამომწურავად და სრულად არის დაცული აკადემიური წერის სტანდარტები და ნორმები; დოკუმენტი ორგანიზებულია შესაბამისი სტრუქტურის დაცვით; რეფერატი ნათლად აჩვენებს, რომ სტუდენტი ზედმიწევნით კარგად იცნობს განხილულ საკითხს

- ✓ 81-90 ქულა - საკითხი წარმოდგენილია ამომწურავად და დაცულია აკადემიური წერის ნორმები; რეფერატში მოცემული მსჯელობა დამაჯერებელია, მაგრამ არ არის სრული ჩამოყალიბებული;
- ✓ 71-80 ქულა - საკითხი წარმოდგენილია არასრულად და აკადემიური წერის ნორმები სრულად დაცული არ არის; ნაშრომის სტრუქტურა არ არის აკადემიურად გამართული;
- ✓ 61-70 ქულა - ნაშრომი შეიცავს საკითხის შესახებ ნაკლულ, არასრულფასოვან ინფორმაციას; ესე არ მოიცავს შესაბამის არგუმენტებს; დოკუმენტს არ აქვს სტრუქტურა, ან მისი სტრუქტურა არ შეესაბამება აკადემიური წერის ნორმებს;
- ✓ 51-60 ქულა - საგამოცდო ნაშრომში წარმოდგენილი ცოდნა მწირია, ხოლო განვითარებული მსჯელობა არადამაჯერებელია;
- ✓ 0- 50 - წარმოდგენილი ნაშრომი პრაქტიკულად ან სრულად ვერ ავლენს საკითხის ცოდნას და შესაბამისი მსჯელობის უნარს; გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება

**მიმღებ კომისიასთან გასაუბრების კრიტერიუმები**

მიმღებ კომისიასთან გასაუბრება ფასდება 100 ქულით. მიმღებ კომისიასთან გასაუბრება წარმოადგენს მთლიანი შეფასების 30 პროცენტს.

გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები:

**არგუმენტაციის უნარი - 50 ქულა**

- ✓ არგუმენტები სრულიად და მკაფიოდ არის გადმოცემული – 50-41 ქულა
- ✓ არგუმენტები დამაჯერებელია და დასაბუთებული – 40-31 ქულა
- ✓ არგუმენტები დამაჯერებელია, მაგრამ სუსტად დასაბუთებულია – 30-21 ქულა
- ✓ არგუმენტები ნაკლებდამაჯერებელია – 20-11 ქულა
- ✓ არგუმენტები არადამაჯერებელია - 0-10 ქულა

**მოტივაცია - 25 ქულა**

- ✓ სტუდენტის მოტივაცია სრულიად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან (20-25 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია მეტწილად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან (19-14 ქულა)

- ✓ სტუდენტის მოტივაცია ნაწილობრივ  თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან (13-8 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია ნაკლებად  თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან (7-1 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს (0 ქულა)

**კომუნიკაბელურობა - 25 ქულა**

- ✓ აპლიკანტი სრულყოფილად ფლობს დარგობრივ ტერმინებს და შეუძლია მოსაზრებების აკადემიურად ჩამოყალიბება (20-25 ქულა)
- ✓ აპლიკანტი მეტწილად ფლობს დარგობრივ ტერმინებს და შეუძლია მოსაზრებების აკადემიურად ჩამოყალიბება (19-14 ქულა)
- ✓ აპლიკანტი ნაწილობრივ ფლობს დარგობრივ ტერმინებს და შეუძლია მოსაზრებების აკადემიურად ჩამოყალიბება (13-8 ქულა)
- ✓ აპლიკანტი ნაკლებად ფლობს აკადემიურ ტერმინებს და შეუძლია მოსაზრებების აკადემიურად ჩამოყალიბება (7-1 ქულა)
- ✓ აპლიკანტი არ ფლობს დარგობრივ ტერმინებს და არ შეუძლია მოსაზრებების აკადემიურად ჩამოყალიბება (0 ქულა)